

თავისუფალი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის პირობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს თავისუფალი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსს (შემდეგში – „საგრანტო კონკურსი“).

1. საგრანტო კონკურსის მიზანი:

- ა) ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური და კრეატიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
- ბ) ხელოვნების ახალი მიმართულებების, შემოქმედთა ახალი იდეების მხარდაჭერა;
- გ) აქტუალური საკითხების კულტურისა და ხელოვნების გზით წარმოჩენა და საზოგადოებისთვის გაცნობა;
- დ) ხელოვნებისა და კულტურის პროექტების მეშვეობით საზოგადოებაში სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება და კულტურის ღონისძიებებში საზოგადოების ჩართულობის ახალი შესაძლებლობების შექმნა;
- ე) ხელოვნებისა და კულტურის სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრირება.

2. საგრანტო კონკურსის პირობები:

- 2.1 საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, გარდა მეწარმე სუბიექტისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე, ან მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციისა.
- 2.2 თუ საგრანტო კონკურსში წარმოდგენილ პროექტში მონაწილე პირი არასრულწლოვანია, განმცხადებელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში უნდა წარმოადგინოს მშობლის/მეურვის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი არასრულწლოვანი პირის ღონისძიებაში მონაწილეობაზე თანხმობის შესახებ.
- 2.3 საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს ახალი კორონავირუსის (covid-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ რეგულაციებს.

3. ღონისძიების მახასიათებლები

საგრანტო განაცხადით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ღონისძიება ხელოვნების ნებისმიერი მიმართულებით, რომელიც განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე.

4. საგრანტო განაცხადების მიღების განრიგი და პირობები

4.1 საგრანტო კონკურსის ფარგლებში განაცხადები მიიღება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში 2020 წლის 15 მაისიდან 05 ივნისის 18 საათამდე.

4.2 საკონკურსო დოკუმენტაცია სამინისტროში წარმოდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე.

4.3 საგრანტო კონკურსის ფარგლებში საგრანტო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს მატერიალური (ნაბეჭდი) ან ელექტრონული ფორმით (PDF ფორმატით შინაარსობრივად დალაგებული გაერთიანებული ფაილებით) და დარეგისტრირდეს სამინისტროს კანცელარიაში ან გადმოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: freeprojectsajara@gmail.com. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.

4.4 პროექტის თანადაფინანსება გულისხმობს ფინანსურ ან სხვა სახის შენატანს/მხარდაჭერას.

4.5 საგრანტო კონკურსის 2020 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 45 000 ლარით. საკონკურსო ბიუჯეტში არასაკმარისი რესურსის შემთხვევაში დაფინანსდება უმაღლესი შეფასების მქონე საგრანტო განაცხადები.

4.6 ერთი პროექტის განხორციელებისათვის გაიცემა გრანტი არაუმეტეს 15 000 ლარის ოდენობით.

4.7 სამინისტროს მიერ ანაზღაურდება განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის (ბრძანების გამოცემის) შემდეგ გაწეული ხარჯები.

4.8 კონკურსის ფარგლებში თანხა გაიცემა საგრანტო წესით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.9 დაფინანსებული პროექტის განხორციელების ვადები:

პროექტი უნდა დაიწყოს არაუადრეს 2020 წლის 10 ივლისისა და დასრულდეს 2020 წლის 01 დეკემბრამდე.

5. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

5.1 საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილ უნდა იქნეს:

ა) საგრანტო განაცხადი;

ბ) მშობლის/მეურვის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი შვილის/მეურვეობაში მყოფი პირის ღონისძიებაში მონაწილეობაზე თანხმობის შესახებ, თუ ღონისძიების მონაწილე არასრულწლოვანია;

გ) თანადაფინანსების შემთხვევაში თანადაფინანსების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ბიუჯეტის კონკრეტული პუნქტით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების ღირებულება აღემატება 500 ლარს.

მომსახურებად იქნება განხილული ფიზიკური პირის მიერ მიწოდებული მომსახურება, გარდა

შემოქმედებითი პერსონალისა.

ბაზრის კვლევის დასადასტურებლად ბიუჯეტით გათვალისწინებულ თითოეულ პუნქტზე წარმოდგენილი უნდა იყოს ფასის დამდგენი არანაკლებ 2 ავტორიზებული დოკუმენტი (მათ შორის, შესაძლებელია ინტერნეტ რესურსების წარმოდგენაც).

ე) შემოქმედებითი პერსონალის წერილობითი თანხმობები პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

5.2 განმცხადებელმა პროექტი უნდა წარმოადგინოს საგრანტო განაცხადის ფორმით და პორტფოლიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრონული ფორმით, შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი აუდიო-ვიზუალური მასალით).

5.3 შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის წინასწარი თანხმობა/ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა ნებართვა.

6. საგრანტო განაცხადების განხილვის წესი

6.1 საგრანტო განაცხადებს, წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე, იხილავს, აფასებს და საგრანტო კონკურსში გამარჯვებულს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით შექმნილი საგრანტო კომისია.

6.2 საგრანტო კონკურსის პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში საგრანტო განაცხადი არ განიხილება.

6.3 საგრანტო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს ეცნობება საგრანტო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 25 კალენდარული დღის ვადაში.

6.4. საგრანტო კომისიის მიერ უპირატესობა მიენიჭება პროექტებს, რომლებიც პანდემიასთან დაკავშირებით საქართველოში/მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობიდან და დადგენილი შეზღუდვებიდან/რეკომენდაციებიდან გამომდინარე ითვალისწინებენ ინოვაციურ მიდგომებს (მათ შორის ცალკეული აქტივობების დისტანციური საშუალებებით განხორციელების შესაძლებლობა).

7. ანგარიშსწორების წესი

ანგარიშსწორება გრანტის მიმღებთან განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.1 წინასწარი ანგარიშსწორება დასაშვებია პროექტის ღირებულების არაუმეტეს 70 %-ის ოდენობით, ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

7.2 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ავანსად მიღებული თანხის მიზნობრივი ხარჯვისა და დარჩენილ თანხაზე (30%) აღებული ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

7.3 საავანსო ანგარიშსწორება შესაძლებელია მხოლოდ საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

7.4 მიღებული გრანტის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ხარჯვასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები.